

კარი ერთოსელი

კოლეგი  
ფსალმუნი

100-ტომეული




გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუსა ექისტელი



## კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 38

2020



მთ. რედაქტორი

**თიშე გოსი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცერსალი“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-845-8 (38 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირნება-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინისა“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენისგის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მოერალია მეცნიერთა და საზოგადო მოდვარია საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთო-სამსცნელო კაპადემია ვიცე-კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე და კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუხრალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოეტმა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდები სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდლული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კოენია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლინი დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრიჟისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულაზ ხარაიზვილი

კოეტი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიფიად შესვები ყოველ შებას, ყოველ ძაბუბას.“

ა. პუშკინი


### წინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

\*

„ცვივა ფიფქები, –  
სიტყვას ამბობს ბერი  
ზამთარი,  
ფრთების ფათქუნით ცისკენ იღებვის  
კვამლის ფრინვე-

ლი,  
ძველი ცოლ-ქმარი –  
ცა და მიწა ისევ შეერთდა.  
და ცეცხლი ყვება ათასმეერთედ,  
ღმერთებთან მებრძოლ ამირანზე  
ლამაზ ლეგენდას“.





შინაგანი ექსპრესიით, დრამატიზმით, განწყობილების უშუალობით გამორჩეული ლექსია: „ჩვენი წინაპრები“.

\*

„მნათობთა ქოხებში სახლობენ,  
ელვის ხმლებს ჭედენ  
და, მზე –  
მათი გრძელდია.  
ცა საკირეა და კირია.  
წვიმა – იმათი ცრემლია –  
ჩვენ ვენატრებით და...  
ტირიან“.

როცა ვაჟა ეგრისელის კოსმიური სამყაროს ამ-სახველ ლექსებზე საუბრობ, არ შეიძლება აღტაცება დამალო და ურუანტელმა არ დაგიაროს. ლექსი „ნატურმოტი“ – დიდებული სურათია კოსმიური სამყაროს თავისებური, თვალწარმტაცი პოეტური ხილვისა:

\*

„ცის ლურჯ ლარნაკზე დადგბული  
ნალევი მთვარე –  
ქართული ნესვის ერთი ნაჭერი.  
და მწიფე-მწიფე ვარსკვლავები,  
ვითარც ატმები,



განგების ხელით დახატული  
ეს ნატურმოტი

ვის არ უხილავს

ცას –

მნათობებით დახუნძლული  
მოტეხა ტოტი,  
გამოენისას  
მეხის ქუხილმა“. –

და ასე უსასრულოდ გრძელდება არსოა და  
მოვლენათა აღქმა. ცა სიმაღლეა, რასაც გარსკვლა-  
ვების ციმციმი გვამცნობს. პოეტი ნათლის უონგას  
მამლის ყივილთან, ცისკართან და რიურაჟთან ოსტა-  
ტურად აერთიანებს და პოეტური სახეებით აღფრთო-  
ვანებულს ისლა დაგრჩენია სმამაღლა თქვა: აი, პოე-  
ზია! რომ მხოლოდ ჭეშმარიტ პოეტს შეუძლია  
თქვას:

\*

„მარადისობა მარად მე მინდა  
და სიყვარულის  
ჩუმი მეფობა, –  
რადგან მთვლემარე ლამეებიდან –  
მესმის ძახილი მზის და სინათლის,  
რადგან სიშორის  
აენწეროებზე –



მარად ჰყვავიან ცის ყვავილები“.

ვაჟა ეგრისელმა თავისი ლირიკული ქმნილებები კარიაღიტებად შეუყენა ვარსკვლავებით დახუნძლულ ცას.

ან კიდევ:

„ცეცხლს ცრიდა ცა  
აზის საცერით,  
მერე უცებ  
როს დადამდა,  
ატყდა ქარის რია-რია...  
გამოექცა ზღვას ტალღა და...  
ნაპირს თავი მიამსხვრია“.

აქ ყველაფერს ცინცხალი და პირველქმნილია, ყველაფერი ფეოქავს, სუნთქავს. ბუნების სურათის ამგვარი დახატვა მხოლოდ იმ პოეტს ძალუძს, რომელიც ბუნებას იმგვარად აღიქვამს, როგორც სიცოცხლის წყაროს.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში სამყაროს სმენითი აღქმა სამყაროს ხილვით აღქმას ტოლს არ უდებს. ორიგვარ ერთად კიდევ უფრო მიმძაფრებს იმის შეგრძნებას, რომ დიდი ფანტაზია უფრო ღრმაცაა და დახვეწილიც რეალობაზე.



## ზინაპრის ხმალი და სატევარი

„მკითხველს საშუალება ეძლევა თვალი გადაავლოს ჰეშმარიტ პოეტისეულ მსვლელობას ამ უკიდუგანო მზისქვეშეთში და დარწმუნდეს იმაში, რომ შემოქმედს გრძელეული ხილვები თავის ათასფეროვან პანოზე ოდენ სილამაზისათვის კი არ გამოუხმია, არამედ და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს საწალმართო ფიქრთაღსაძრელად და ამგვევნად წინაპართა კვალზე მოსული ქართველისათვის თავის მამულიშვილური ვალის შესახენებლად“.

ვაჟა ეგრისელის პოეტური პანგების სათავე სამშობლო ქაჟინის თავდავიწყებული სიყვარულია. სამშობლო, მისი გმირული წარსული, წინაპრის ხმალი და სატევარი არის მისთვის უწმინდესი და უმაღლესი მცნება. პოეტი წარსულის მზიან ბილიკებს მისდევს და გულიდან მომსკდარი სტრიქონებით გამოხატავს თაყვანისცემას და ერთგულებას. რამეთუ:

\*

„მივხდევ წარსულის მზიან ბილიკებს,  
ლოცვებში განვლო  
უამმა რამდენმა,  
ქორონიკონებს ვინდა დაითვლის...“



და ქართვლის ცაზე კვლავ მელანდება:  
იესოს კვართი,

შურდული და ქნარი დაგითის“. –

ამბობს პოეტი და მამულის სასახელო წარსულისადმი თავის სიყვარულს ყოველთვის ამაღლებულებელი განცდითა და მაღალი შთაბეჭდილებებით გამოხატავს. იგი დაატარებს საქართველოსა და ლომბგული წინაპრებისადმი დრმა მაღლიერების გრძნობას და მთელი რუდუნებით ცდილობს წარმოაჩინოს საქართველოს წარსული. სულმნათი წინაპრების ღრმადდასამახსოვრებელი სახეებით, მათი გმირული საქმეების სამზეოზე გამოტანით მომავლის კონტურებს წარმოაჩენს. საქართველოს ისტორიული წარსული ასაზრდოებს პოეტის სულსა და გულს, მთელმის ცნობიერებას.

\*

„ისტორიის ძველ საბძელში  
გალეწილი –  
სხვათა ხმები,  
ვით მარცვალი ყრია ფეტვის.  
შენ ზღვისკარად დგახარ ულოდ.  
(მტერს წარსული მიაფეთე)  
ვინც დაგეძებს კვლავ გპოულობს,  
კოლხო –  
ძეო იაფების“.



პოეტი იმაშიც გვაჯერებს, რომ ქვეყნის სავალი გზა ია-ვარდით არაა მოფენილი, სისხლი, რომელიც უხვად დაუღვრია ჩვენს წინაპრებს, კვლავაც დაიღვრება, რომ:

\*

„ვით ვაჟას,  
მეც ის „კაი ქმად“ მითქვამს,  
ვინც,  
ცბიერ დროუამს არასდროს მონებს,  
არც მაცდურ დღეებს ქცეულებს გზირად.  
აწმყოში ვხედავ:  
მომავლის პოეტს,  
ქართლის წარსულში მოწყენით მზირალს“.

პოეტი გულით დაატარებს მშობლიური კუთხისადმი ღრმა მადლიერების გრძნობას და მთელი არსებით აქებს და ადიდებს ია-იების ღილებით გულმკერდშებნეულ მიწას, გულმართალ და პურად ხალხს. მშობლიური ბუნებაა სათავე და ბიძგი იმ მეტაფორისა, რომელშიც შედედებული სისხლივით იკვრება რეალური სინამდვილე, სუბიექტური ხედვა და მაღალი ტალანტი გაიძულებს გიყვარდეს მამული... პოეტისათვის ყველაზე ძვირფასია ოქროს საწმისის ფენომენი. აქ, ხსოვნის ეკრანზე, კვლავ ბრწყინდება თავისი სიდიადით: სოფლის ბალახი, მარჩენალი ჩე-



ლა და ლომა, თუთარჩელა, დამქ, ურმული და ურ-  
მის გაუსაპნავი ბორბლების ჭრიალი. მშობლიური  
კუთხის სილამაზე ლირიკული შთაბეჭდილებებითაა  
დახატული პოეტის მრავალ ლექსში, რომელიც წვენ  
არაერთხელ მოვიხმეთ!

აქ კი მიზანშეწონილად მიმაჩნია მოვიტანო ერ-  
თი ლექსი:

\*

„ჩემი სიცოცხლის გაშლილ სუფრაზე,  
წლების მაგიერ  
იმედების ყრია ნამცეცი.  
და მზის სარკიდან ვხედავ ფარულად:  
ჩემი ბავშვობა,  
აქეთ-იქით თვალებს აცეცებს.  
მეზობლის ბაღში მსხლის საკრეფად  
გადაპარული“.

ეს არის დეტალებით მდიდარი და დინამიკური  
ხატ-სურათი, რომელშიც მითი და რეალობა, მამუ-  
ლის უსაზღვრო სიყვარული ჰარმონიულობითაა და-  
ნახული და ემოციურად განცდილი.

მხატვრული შედარებების, კპითეტების, ზოგ-  
ჯერ ჰიპერბოლების მეტად მოხდენილი შეზავებული  
გამოყენებით პოეტი ადვილად დასამახსოვრებელ და  
ამაღლებულ სახეებს ქმნის. პოეტს სიამეს პგვრის



წინაპრის ხმლისა და სატევრის გახსენება. რომელიც აღმრავს ქართული მიწის, მშობლიური ცის დაცვის უკიდეგანო სურვილს. გულწრფელი სიყვარული სამშობლოსადმი, წინაპართა ნაკვალევისადმი ერთგულება პოეტის წარმოსახვაში ერთმანეთთანაა შერწყმული და ამ მთლიანობის უზადო და ამაღლებული სიყვარული ჩანს შემდეგ სტრიქონებში:

\*

„ჩემს მამულს როცა გაუჭირდება,  
წამსვე უამურ ფიქრს  
წამისევე –  
ათას ბრძოლებში დამენათევარი.  
კედელს რომ პკიდია,  
და რომ ვერ ისვენებს –  
წინაპრის ხმალი და სატევარი“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვაჟა ეგრისელში გვხიბლავს და მისი პიროვნებისადმი დრმა პატივისცემის გრძნობას იწვევს მისი „ეგრისელობა“. ამით იმის თქმა მინდა, რომ მისი პოეზია, მისეული, ეგრისელისეულია რა თქმა უნდა, ის დაფუძნებულია ეროვნული პოეზიის მყარ უუნდამენტზე, მის მდიდარ ტრადიციაზე. მაგრამ ამავე დროს მას უველაფერი თავისი აქვს, მათ შორის ლექსის ვერსიფიკაციაც კი.



„...არიან ისეთი პოეტები, რომლებმაც ლექსთა წყობის ფორმიდან გადაუხვიეს და მსოფლიო პოეზიას საკუთარი სტილი შესთავაზეს, მაგრამ მე სულ რამდენიმე მათგანს ვიცნობ: რაბინდრანათ თაგორს, უმლტ უიტმენს, ვლადიმერ მაიაკოვსკის, პაბლო ნერუდას და ვაჟა ეგრისელს“...

„უზომო და განუზღვრელია ვაჟა ეგრისელის პატრიოტიზმი. საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულს თავს ევლება, თითოეული მათგანის სახოტბოდ აქვს ჩანგი მიმართული, თითოეულის სატკივარს მალამოდ ედება.

დიახ, არ დარჩენილა მთა, მდინარე, დაბლობი, მაღლობი, სოფელი თუ ქალაქი, ციხე თუ ეკლესია, რომელთაც თავის შეუდარებელ პოეზიაში არ მოვურებოდა, არ ემდერა, არ გაემსნევებინა, ან არ ეტირა მის ნანგრევებზე...

დიახ, გარდასული, დაუკიწყარი წარსულის პირუთვნელი მემატიანეა პოეტი თავისი ლირიკული ქმნილებებით. ტკბილ სიზმრებსა და ზმანებებში ხედავს ზნეკეთილ ადამიანებს, მოვლენებს, პეზაჟებს, განსაკუთრებით სოფლისა. ასე ლამაზ ფერებში დიდოსტატის ხელით რომ იხატება – ხალხის წიაღიძან გამოსულ მის ყოველ სიტყვას – სულს შთაბერავს, ჩარხავს და აჩუქურთმებს.

„ვაჟა ეგრისელის გასაოცარი პოეზია გიტაცებს სიტყვისა და ფრაზის წარმოუდგენლად დიადი



აზრობრივი დატვირთით. ლექსის თითოეული სტრიქონი ფიქრის მორევში გითრევს და გიმაღლებს პასუხისმგებლობის გრძნობას სამშობლოს, ხალხის, საკუთარი ოჯახის წინაშე...

ეს არის დვოიური ნიჭით განათებული იმედისა და მომავლის პოეზია.

„მაღლობა პოეტს – ასეთი ყოვლისმომცველი შემოქმედებისათვის!“

ბულგარელი პოეტი ნევენა ნიკოლოვა კი ამბობს: „როცა ვაჟა ეგრისელის წიგნს ავიღებ ხელში, ყოველთვის მომაგონდება ხოლმე დიდი პეტრე იბერი, რომელიც ქათქათა ტაძრებს აგებდა დვთის სადიდებლად“...

ვაჟა ეგრისელი კი ლოცვისებურ ლექსებს აღუვლენს უფალს უნეტარესად.

\*

„კოლხურ ლამეში წარსულიდან მოისმის ქვნესა, და პონტო უფრო უმატებს დელვას, თითქოს და იგი იმ შორეულ სევდას უცდიდა. ო, ალბათ, მაშინ ტყუპისცალი –

„ბატა“ და „ჩელა“  
შობა ჩონგურმა ცივ ფაცხაში თავის  
მუცლიდან“, –

ამბობს პოეტი და კოლხური წარსულის ტრაგიკელ, მაგრამ მშვენიერ განცდას გვაზიარებს. „ბა-



ტას“ და „ჩელას“ ლამაზი, გადამდები სევდა ამ სურათში პლასტიკური სიცხადითაა და გამომსახველობითი ფერებით, მახვილი წარმოსახვით, დეტალებით და სივრცის რელიეფური განცდითაა დახატული.

ვაჟა ეგრისელი ლექსის კომპოზიციაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიული წარსულის დეტალებსა და მოტივებს ამა თუ იმ კონკრეტული მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტად და ხორცშესასხმელად.

წარსულის სევდიანი დეტალი შემოგვანათებს ლექსში:

\*

„ბორგავს კოლხეთი –  
დალატით ყელგამოღადრული,  
თუნც პონტოს ახსოვს დღე  
უარესი –  
სისხლის წვიმების და მწუხარების.  
ფაზისის პირას  
უსაწმისო ველზე არესის,  
ისმის ბლავილი აიეტის ცეცხლის ხარების.“

ან კიდევ:

\*

„ათასლწულთა ქარით ნარწევებს,



საუკუნეთა ძილით დაღლილებს,  
გაედვიძებათ ლოდზე –

წარწერებს –

საირმეს,

არმაზს,

მცხეთას და ბოლნისს,  
მოუვლით ჟინი სამყაროს მოვლის“.

საქართველოს ისტორიის შემზარავი, შებილწული წარსული, სალოცავი ხატების განადგურებად მოცემული ლექსში:

\*

„ყურსალარობა...

ჩემს სამეგრელოს  
კაცმა თუ დმერთმა  
დაარისხა

ასეთი ბედი.

ათას წლის მერე,

ზღვას რომ უფლის მძვინვარ ქარიშხლად –  
მოთქმაა მეგრელი დედის“.

ასეთი ლირიკული წიაღსვლებით პოეტი წამიჯრად ჩაგვაფიქრებს, წარსულისაკენ მიგვახედებს და გონებაში ამოატივტივებს იმ გრძელ გზას, რომლის



გამოვლაც დასჭირდა ჩვენს ქართველობას, რათა  
დღევანდელობამდე მოეტანათ მამული ჩვენი...

საქართველოს ისტორიის ფურცლები სავსეა დი-  
ადი გამარჯვებებითა და შემზარავი დამარცხებებით.  
მატიანემ შემოგვინახა თავგანწირვისა და თავგამო-  
დების განუმეორებელი მაგალითები. გვყავდნენ მამუ-  
ლის ერთგული ლომგმირი ვაჟკაცები... სისხლით  
იწერებოდა საქართველოს ისტორია. პოეტისათვის  
საქართველოს ცრემლიანი ისტორია – გმირული სუ-  
ლისა და მარადიული უკვდავების ზეიმია:

\*

„ფარ-ხმალთა ქრიალი...

ცეცხლი და ომები...

და გადაყივილი და გადაძახილი –

მომხდეურთ რომ სიკვდილით გარს უკლიდა.

ოფლს იწმენდ –

გადახდილ ბრძოლებით დაღლილი,

ამ წუთას მოხვედი თითქოსდა წარსულიდან“.

ეს ლექსი ეძღვნება ცნობილ მწერალსა და მეც-  
ნიერს, გამოჩენილ პროფესორს ლევან სანიკიძეს. პო-  
ეტს ჩვენი ქავების წარსულის უტყუარი შეგრძენება  
აქვს და ჩვენი ქვეყნის სხივნათელ წინაპართა სასა-  
ხელო საქმეების მოგონება ავსებს და სრულყოფს  
მის სიცოცხლეს. აქ, ამ ლექსში პოეტური წინათ-



გრძნობითა და ნათელმხილველობით ტრაგიკული  
სურათებია აღქმული, მაგრამ პოეტის თვალი ჭვრეტს  
ნათელ ფერებს და სჯერა:

\*

„ამ უსაშველო წუთისოფელში,  
ხსნასა და საშველს  
მაინც პოულობს  
და რბის იქითკენ ჩემი ბილიკი –  
სადაც მარადებას დღესასწაულობს  
დაფნის სიმწვანე.  
და რტო ფინიკის“.

\*

„დამეს ჩამოუშლია შავი თმები დრუბლების  
და ცას აღარ მოუჩანს,  
არც თვალი და არც სახე.  
ელვას გადაუსხიპავს ვარსკვლავების თავთავი.  
ვიცი,  
სადღაც აქვეა უფლის თეთრი სასახლე,  
მთვარის შადრევნები და  
მზის მაღალი სათავე“.

ვაჟა ეგრისელის ეს უცნაური ხილვა ინტუიციუ-  
რად დამაჯერებელია, რწმენით აღსავსე, მშვენიერი



პარმონიით, აზრისა და იდეის სიღრმითა და სიდიადით.

ვაჟა ეგრისელი მონუსხულია სასიქადულო წინაპრის, სხივნათელი მეფის დავით აღმაშენებლის პიროვნებით. პოეტისათვის დავით აღმაშენებელი საქართველოს ძლიერებისა და აყვავების სიმბოლოა. პოეტის მიზანია წარმოაჩინოს დავითის დროინდელი საქართველო და შეუფარდოს დღევანდელობა თავისი ტკიფილებითა და განცდებით. ჩვენს პირველ წიგნში მივანიშნებდით:


\*

„თვალებში ქართლის წარსულს ჩავცერი,  
მესმის ყიჯინა,

გმინვა, გნიასი.

გიოთ საზღაურის მტრისთვის მიგება.  
სიკვდილ-სიცოცხლის პარმონიაში –  
სმალი საბრძოლოდ ელვასავით მიიღრიკება.  
დიდგორის ველზე სისხლთა მნოხეველი,  
ქართველები კვლავ დგანან პირველნი  
და საქართველო –

მათი წმინდა საკურთხეველი –  
საესეა თავით შესაწირველით.  
დაღლილი მთები დგანან უძრავად,  
დამით ტანჯული მოლოდინი  
წამებს დაითვლის,





და აპა! ბნელში, ქართლის  
მტერთა შესამუსრავად,  
მოდის სიკვდილი! – მეფე დავითი“.

„დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ეს სტრი-  
ქონები იმის ჭეშმარიტი ილუსტრაციაა, რომ ეგრისუ-  
ლი წერს არა მარტო ჩვენი ერის, არამედ ყველა  
დროისა და ყველა ეპოქის ადამიანებისათვის. ზე-  
მოთმოტანილ სტრიქონებში პოეტმა მოგვცა პიროვნე-  
ბისა და ისტორიის ახლებური დანახვა“.

**ციალა მუსიკა**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



\*\*\*

კავკასიის მთის ფერდობზე,  
დღე და დამე რომ ციმციმებს,  
ყინულია თუ ნამსხვრევი –  
რკინის

ჯაჭვის  
ამირანის თუ აბრსკილის,  
ქლუხორთან კი გაზაფხულის  
ტყეს უკიდებს ცეცხლს  
ასკილი.

1977

\* \* \*

(იტალიური გამოფენა)

უკვდავების ცივი წყარო,  
თითქოს ამ წუთს დაელიოთ,  
სასმისებში –  
მზედ რომ ენთო,  
მურილიოს,  
პაელიოს,  
ჯორჯონეს და ტინტორეტოს.

1982



\* \* \*

სულ სადღაც, მიღიან...

სულ მიეჩქარებათ...

ოვალს წამით ხუჭავენ

და წამსვე ახელენ...

და ამაყ ზღვის მსხვერპლთა ხსოვნას და

სახელებს

უხსოვარ დროიდან ტირიან ქარები,

ტირიან...

და მაინც ვერ გამოიტირეს...

1987



\* \* \*

ყინულის ფრთებით მკერდზე გვეხლება,  
ქვეყნად არყოფნის წვიმა და ქარი,  
მიწის ჭურჭელში სული დგას  
ვიდრე,  
სიცოცხლის გზები მთავრდება ჩქარა,  
თუმცა,  
ო, ზოგჯერ ჩვენ ფეხებს ვითრევთ.

1990



\* \* \*

დატოვებს ღრუბლების საბრძანისს  
და ამ თავიდან,  
იმ თავით,  
ელვა, წამს სამყაროს მოივლის...  
მთვარე კი ტივტივებს ზღვად მაშველ  
რგოლივით,  
ცად გარსპელავები  
ყვინთავენ.

1964



\* \* \*

დღე,

უშიშარი ჯარისკაცია,

ბრძოლით დაფლილი და მარადუამს  
ძილის

ნატრული,

გზე როცა ჩავა,

დაუხუჭავს ლამე,

დღეს თვალებს,

რომ ერთი კარგად გამოაძინოს,

და უთენია გააღვიძოს თვალგაბადრული.

1989



## ტალღები

ჩაფრენილებმა ქარის ფაფარზე,  
გადაუარეს ათას დელგმას,  
ათას ფანტომებს –  
ტალღებმა, როგორც ამორძალებმა.  
მოადგნენ ნაპირს...  
და კოლხეთში მძევლად დატოვეს:  
ზღვის სიძლიერე,  
სიდიადე,  
და მოკრძალება.

1959



\* \* \*

მტკვარ-არაგვის გაშლილ მკლავით,  
გულში იხუტებენ ზამთარს,  
თოვლის ცეცხლით ანანთები,  
და...  
ბებერი მცხეთის კართან,  
თავმომწონედ დგანან მოქბი.

1961



\* \* \*

ზღვას —

ქარიშხალის ედვა ბორკილი,

ცას —

ცისარტყელას სისხლიანი

ერტყა ქამარი

და ცრემლით სავსე პქონდა თვალები,

ვნახე და ორივ დედიშობილა,

ციგ სტრიქონებში

დავასამარე.

1976



## მამა, მე და სულიოზინდა

ძვ,

სამივემ მიმატოვა

და გაფიდა ეს ზამთარი,

სულ რომ თოვდა,

სულ რომ წვიმდა...

დღეს სამივე ჩემთან არის

მამა,

ძვ,

და სულიწმინდა.

1959



\* \* \*

ზღვა ვეღარ სცნობდა მის ძველ ბინადარ  
ცას,

და დილამდე უხმოდ გმინავდა,  
ჩუმად ვუსმენდით მე და მალოაყვა,  
გამთენისას დამემ,  
მთვარე იმშობიარა,  
მაგრამ რად გინდა, თვითონ გადაყვა...

1960



## სამიათასი ლექსის გაიღობი

ვწერე და ვწერე...

ვწერე და ვწერე...

და ამიტანა მართლაც და წერამ,

მაგრამ გაჩენით ვისიც მაქვს ვალი,

ვერა და ვერა...

ვერა და ვერა,

ვერ გავუსწორე ვერაფრით თვალი.

1978



\* \* \*

ქუხილის ხმაზე, როდესაც  
დრუბელი გადაიყრის  
ელვის სველ ნაწილებს,  
წუხან სიკრცეები გასანასკვავები,  
გზივარ და...  
სიშორე მაწვალებს –  
ცის თვალში ჩაუანგული ვარსკვლავების.

1959



## შიგნი “ვაჟა ებრისელი”

პროფ. კოტე მელაშვილის

ამ საწუთოში სიკვდილზე ფიქრის,  
გადამარჩინე თუკი  
ვაებას,  
თაყვანი ჩემი არსთაგამრიგევ!  
“სიცოცხლეშივე მომანიჭე  
მე უკვდავება”,  
და ხელთუქმნელი ძეგლი ამიგე.

1993



## ტაქარი

რა ძვირფასია, რა დიდია შენი ტაძარი,  
და მე აქ მოველ,  
შენზე ფიქრით დამენათევი,  
დიდხანს ვილოცე...  
და მფარველი ღმერთი ვახსენე,  
დავანთე ჩემი  
წმინდა  
სანთელი  
და ჩემი ხატი შიგ დავასვენე.

1994



\* \* \*

ერთმანეთს რქებით ეჯახებიან  
 შავი ღრუბლების –  
     შავი დევები,  
 ქუხილის ხმები დედამიწას ძრავს,  
 ცას ელვის დიმილი პირზე აშრება,  
     დუღს და გვარგვალებს ზღვა,  
     შიგ ქარიშხალი  
 იხარშება.

1955



\* \* \*

მევ მზის შვილი გარ აიეტივით,  
თანაც მდიდარი,  
თანაც ღარიბი,  
იქნებ მზემ ახლოს არ მიმიკაროს,  
და მაინც მზერა ცისპენ გამირბის,  
როგორც იკაროსს.

1992



## მთვარის სონატა

სინათლის რქებით და ეშვებით,  
სანამ მზის დევები  
აიშვებენ,  
დაუკრავს ღამე  
გარსკვლავების  
კლავიშებზე  
“მთვარის სონატას”.

1959



\* \* \*

როცა ფრთა გაჰკრა ღრუბლებს  
გრიგოლმა,  
ცის თვალში უცებ  
წყენამ იელვა  
და თეთრ ხეებზე მწუხარებამ  
გადიმქუხარა...  
მერე მოვიდა შავად,  
კიდაც გადამთიელი  
და მზე ჩააქრო, როგორც ბუხარი.

1967



## ოდოია

მოროდის ჟამს,  
 ზღვით ამოსულ ღრუბლებს გაჟყვა,  
 შემოაწნა ცისარტყელამ  
 შვიდფად ღობე  
 იქ,  
 მოქბს მიღმა,  
 სად სინწა და კოდორია,  
 და მას შემდეგ,  
 სიმინდს მარგვლენ და უხმობენ  
 გლეხეცები,  
 იმ გლეხის ბიჭს ოდოიას.

1958



\* \* \*

მოვარის პატარა სარკმლიდან,  
ხვალის მზიან დღეს ვუმზერ  
და აღარ ვკარგავ იმედს,  
თუმც დარდი მაწევს გულზე,  
საფლავის ლოდზე მძიმე.

1994



\* \* \*

როცა ზესკნელმა იბღავლა დილა,  
ლამის საშოში  
მთოვარე იძრა  
და ცა ამწვანდა უცებ ნაძვივით,  
სანამ ცხრაოვალა ქარიშხალს ღვიძაგს,  
დაღლილ ზღვას,  
აბა,  
რა დააძინებს.

1989



\* \* \*

მე ვხედავ:

შენი თვალები ეძებს,  
პატარა გოგოს ონკანთან  
დახრილს,  
ჭუბუები რომ ჰყიდია მკერდზე,  
ოდენა,  
თეთრი,  
მოსული კვახის,  
მაგრამ ჯერ მკვახე.

1965



\* \* \*

მხოლოდ სამშობლო...  
და პოეზია,  
და სხვა საუნჯე არავითარი,  
არც ოქრო-გერცხლი,  
და არც ლალები,  
და მაინც ქვეყნად ასე მდიდარი,  
თვით სატანასაც შევებრალები...

1994



\* \* \*

ჩაუდიოდა სქვია და წყაბუ,  
მეგრული ფაცხა პგავდა  
კუს ბაკანს,  
და მე,  
მარადუამს ფერმკრთალს და უძლურს,  
შავი ზღვის ტალღა მირწევდა აკვანს,  
ჩემი კოლხეთი მაწოვებდა  
ლეგენდის ძუძუს.

1962



\* \* \*

ყინულის ჯავშნით,

და მიღეულ მთვარის წრიაპით,

მიწიდან ცამდე მიიწევენ

მთები —

უწვრთნელი

და ქარიშხალი სდევთ თებერვალის,

კოსმოსს იქით კი,

მნათობები

თვალს ვერ უწვდნენ

უსასრულობის

ფიქრის ისლით მოსილ

მწვერვალებს.

1978



\* \* \*

რომ გაარღვიონ ცივი სიშორის  
და სიძყუდროვის  
შავი

უღრანი,  
ვით მაღაროელთ, თავზე ვარსკვლავებს  
სინათლიანი ქუდი  
ახერავთ  
და დილამდე  
ლამეს ბურღავენ...

1964



## ისეგ აფხაზეთი, ისეგ სამაჩაბლო

ურჯუკებმა და ურჯულოებმა,  
 შთამომავლებმა შაჰის თუ საქოს,  
 ქართველთ წაართვეს ფეხე და  
 ნერჩი,  
 ახლა დედები სისხლსაც ღვრიან  
 “ვახტანგის ნაქონს”,  
 რადგანაც ბედკრულთ,  
 რომ იტირონ ცრემლი არ შერჩათ.

1994



\* \* \*

დასავლეთისაკენ ფლოქვთა თქარუნით,  
ელვის ნალებით დაჭედილმა  
ლრუბლების რემამ,  
ჩამოიქროლა საღარ ცხენებად,  
და მთვარის კავით დახნულ ცის ველზე,  
ჭვრებს დამჟ მნათთა  
აღმოცენებას...

1964



\* \* \*

გამოქცეული მიწის სიშავეს,  
 გზის პირშავ ამბავს,  
 ისევ თეთრად ჰყვება იელი,  
 თუმცა არავინ აღარ ავალებს,  
 ხოლო შორს,  
 სადღაც,  
 სხვა სიძლიერით,  
 ნაწყვეტს დამიდან,  
 მღერის კვამლი  
 ცად მიმავალი.

1961



\* \* \*

ათასწლეულთა ქარცი ქარებით,  
დასერილია მთვარის  
ლანდშაფტი  
და შავრა დამე,  
როგორც ულაყი,  
მიურებება აღმოსავლეთით,  
ოქროსფაფრიან –  
მნათთა  
ფაშატებს.


1959



\* \* \*

მნათთა მირიადი სანთლიოთ  
დამწვარი და დანაღვენთი  
ცა —  
როს გამოაჩენს ხახას,  
მაშინ სამჯერ,  
მამაღმერთი,  
ელგის პირჯვარს გარდასახავს.

1977



\* \* \*

ჩარგლულას პირას დამსხდარან

დეკა,

ღვია და მუაველა,

ხმას არ იღებენ მუნჯივით,

ელიან ვაჟა-ფშაველას,

ლექსებით სავსე ხურჯინით.

1977



\* \* \*

მოდის აპრილი...

და ველ-მინდვრები,  
 ხელებს უყრიან მწვანე სამოსელს,  
 იქვე,  
 ახლოს მდგარ მთას კი პირიქით,  
 ტანზე აცვია მოქათქათე თოვლის  
 პერანგი  
 და,  
 ჰალსტუხივით ჰკიდია ბილიკი.

1959



\* \* \*

კვლავ აბდავლდნენ ჩანჩქერები  
და ყაყანი მოებმაც მორთეს,  
რადგან მეხი აპობს ტინებს,  
ცა,  
წვიმას კი წყავის ფოთლებს,  
კვლავ,  
უღმერთოდ აკორტნინებს.

1989



## 03ლ0ს0

ცეცხლში ეხვევა ცა და ხმელეთი,  
ცვიგა და ცვიგა  
ოქროს ისრები,  
ხეები ფოთლებს იფარებენ... შველა  
არსაით,  
დაშშრალან მნათთა  
ოაზისები,  
წუხს მზის უდაბნო,  
მოვარვარე  
საპარასავით.

1969



\* \* \*

ცხავი,  
საცერი და სამტკიცი —  
შენი გაქვს,  
დრო — უამი  
ამტკიცებს,  
და... შენი სიმღერა გაუძლებს  
გაცრას,  
გაცხაგებას და...  
გამტკიცვას.

1959



\* \* \*

დასალიერში მზე ისე მოჩანს,  
 ლაფში ჩაფლული,  
 ვით ურმის მორგვი,  
 წვიმს,  
 ქარი თითქოს თეთრ თუთას  
 არხევს,  
 დღემ კი, ზოზინა დრუბლების ჯოგებს,  
 გადაუჭირა ცისარტყელას  
 სახრე.

1959



\* \* \*

შორი გზიდან მომავალი,  
ჩვენზე “ფიქრით”,  
ჩვენზე “ზრუნვით”,  
კარს მოგვადგა ეს ზამთარი  
თოვლ-ჭყაპით...  
და ქარის ზურნით,  
ვით ერეპლე მეფის დასთა საზანდარი.

1960



\* \* \*

კართან მდგარ ლურჯთვალა ალუჩას  
 (დედაჩემს ასე რომ უყვარდა),  
 ნაღვლიან,  
 მოწყენილ სახეზე  
 ეყარა კვირტების ჭორფლი,  
 და ქალაქს მიმავალს,  
 იქ, ოფას შუკასთან,  
 ძალიგით ამედეგნა მოგონება სოფლის.

1987



\* \* \*

გაზაფხულზე,  
მიმწერისას,  
ჩემს არ ყოფნას და  
გარდაცვლას  
შავი ფესვით იგლოვს კენკრა,  
ლოდზე დაყრიდ სიტყვის  
მარცვალს  
გარსკვლაგები ამოკენკავს.

1994



\* \* \*

ღმერთების რისხვას გამოქცეული,  
სადღაც ღრუბლებში  
ელვა მოკიგის...

შორს,

სიმყუდროვის ცივი კიდეა,  
ცას გაუდვია ცისარტყელა მხრებზე  
ჭოკივით,  
და შუქით საგსე მზე და მთგარე  
სარწყულებივით დაუკიდია.

1977



\* \* \*

როცა მდინარე ვიყავი,  
გულში ენატრებოდი  
ზღვად ქცევას,  
ზღვად ვიქეც...  
ახლა ვწერტუნებ,  
ვითარცა ძაღლი ნაცემი,  
რადგანაც შურის და მტრობის  
დღეები ჯვარზე მაცმევენ.

1989



\* \* \*

შავი რაშით მოვა დამე  
და მიხურავს დღის თეთრ კარებს,  
ზღვად სინათლის ფონებს მოსპობს  
და ცის მკერდზე სავსე მთვარეს  
მიადებს ვით ფონენდოსკოპს.

1960



\* \* \*

სტოვებს ნაპირს და ზღვის დელვას,  
კეცავს “ბალზაკს”  
და “მერიმეს”  
და მიჰყება სანაპიროს,  
სადაც მწუხრის წევს არილი,  
ჩემი მზერა,  
ვითა ირემს,  
უკან მისდეგს მწევარივით...

1986



## ქაშვეთთან

აქ ლოცულობდნენ...

აქ დაეცნენ ბოლოს ისინი

ჩვენი შვილები...

ჩვენი დები...

ჩვენი დედები...

აქ, ქაშვეთთან ბაგშვმა უცებ შემოჰკრა

ტაში

და უცაბედად,

მოქათქათე გუნდი მტრედების

მათი სულივით აფრინდა ცაში.

1989



\* \* \*

ყივილის ორლესულებს დეზებზე ლესავენ  
მამლები...

და აპა, ვარდისფრად,  
ცად აპრიალდა მახვილი ურიცხვი,  
წამს ფერი ეცვალა და დამე შეშინდა,  
თუმც ყვითელგულა მურიცხები  
სინთლეს კენკავენ მთოვარის  
პეშვიდან.

1961



## თეთრი ფრინველი

კარიდან-კარად დადის სიცივე,  
 მინაჩამსხვრეულ სახლებს,  
 გუბეებს,  
 მჭვირვალე მინას უდგამს ყინულის,  
 და ანთებს ბუხრებს,  
 კერებს,  
 ნაგთქურებს,  
 რადგან ზამთარი –  
 თეთრი ფრინველი,  
 მოფრინავს ციდან,  
 თოვლის თეთრ ფრთებს მოაფათქუნებს...

1964



\* \* \*

მე ზღვას გუყვარვარ თავდავიწყებით,  
როდესაც ვტოვებ,  
ოხვრას უმატებს,  
და როცა მნახავს,  
სხვანაირი მოსავს მშვენება,  
გამორბის ჩემსკენ და ცხელ ქვიშაზე,  
ქარიშხლით ნაქსოვ ტალღებს მიფენს  
მოსასვენებლად.

1959



\* \* \*

უშენოდ და უსიზმრებოდ  
დამე როგორ გავათენო...  
დაფნის ტოტებს გინიავებ,  
გვირგვინს გიწნავ დაფნითავე,  
ირმად ქცეულს,  
ვით აქტეონს,  
სანამ შენი ქოფაკები დამფლითავენ...

1961



ა. ა. ს.

\* \* \*

მთვარეს, სვანური თეთრი ქუდივით,  
კვლავ დაიხურავს  
დეკემბრის ღამე,  
ცა მნათობების მწევრებს აუშვებს,  
გრიგალებს დელვით ევსებათ  
უძგ,  
და აი, ახლა, ზღვის თბილ ხმაურში,  
ო, რა ციკი სიჩუმე  
სუფევს.

1988



\* \* \*

სადღაც,

დრუბლების მიღმა ქანკალებს:

“კურო”,

“კირჩხიბი”

და “ღრიანკალი”,

ხოლო უფრო შორს ჩამქრალ იმედად

ჩანს “დიდი დათვი” და “ანდრომედა”,

უფრო ახლოს კი ცას –

არღანივით

მთვარე კიდია...

მზე კი არა ჩანს,

ზღვის –

მამამძუძეს მესმის ბლავილი...

1966



## მანელისის გზაზე

მიგალ და მომდევენ


წითელი ქოლგებით

და წელში ტყდებიან

სინაზით —

ყაყაჩოები.

1977



## მუხილი

გითარც ადრე ტილით თათრის,  
 გავსებულა ახლა ქართლი  
 ცრემლით...  
 “ვუით!...  
 და “ვაითი!”...  
 გახეთს ისევ დაჯდა ელი,  
 და... არსაიო ჩანს დავითი,  
 და... არც ბრძენი ჰყონდიდელი.


1993



\* \* \*

არ მადარდებს დღე უპუნი,  
რადგან დამე,  
მნათობების  
ოქროცურვილ ასოებით  
“გ-ა-ქ-ა”, -  
აწერს ცის დიდ დაფას,  
მიგაბოლებ მე, მეოცე საუკუნეს...  
და ნაფაზზე,  
გურტყამ ნაფაზს...

1971



## გილიორთინა და ეშაფორთი

იგი ერთია,  
არა ჰგავს არავის,  
სულ სხვაა მისი სრა-სასახლე,  
ფაცხა,  
კარავი,  
სადაც ის ცხოვრობს  
და სიზმარში სადაც აბოდებს:  
გილიოტინა ან ეშაფოტი!  
გილიოტინა ან ეშაფოტი!

1992



## შორს ჩანან მთები

ეჭე... ჰე, ჰეეი!

გავძახი სივრცეს...

შორს ჩანან მთები...

ეჭე... ჰე...

ექოს,

მომბრუნებოდა,

ძალა არ ეყო.

1957



\* \* \*

ეამთა დენას დაუშლია ტივები,  
 არც დუდუკი...  
 და აღარც პურ-მარილი,  
 მტკვარს  
 მეტეხი უჭირავს, ვით ქამანჩა,  
 იქვე “თათრის მოედანი” გდია ძველი  
 თარივით,  
 რომ დაუკრას,  
 საიათნოვა არა ჩანს.

1972



\* \* \*

ზღვამ აიწია ქარის საყელო  
და თავი მისცა წვიმას და ბორგვას,  
ცას კი ხელიდან გაუვარდა  
და ელგის ძაფი,  
პვლავ დაახვია ღრუბლების გორგალს,  
მერე,  
ყოველი მიწყნარდა და ჩათვლიმა  
ზღვამაც,  
მაგრამ უეცრად იზმუვლა გემმა,  
და არ აცალა ზღვას წამით თვლემა.

1979



\* \* \*

ყველას თავისი გზა აქვს სავალი,  
 ეს მცირება თუ დიდია,  
 მწერლის გზას მუდამ  
 ძნელი გზა ერქვა,  
 რადგან ის კალმის წვერზე კიდია,  
 როგორც გლეხებაცი გუთანს  
 და ერქვანს.

1990



\* \* \*

იქუხა...

და დასალიერთან,  
ქარი კვლავ გამოჩნდა კაპრიზი,  
ხან “მხარულს” ხმარობს  
და ხან “ორგიას”,  
ზღვა-დედა,  
არ უშვებს,  
და მაინც ნაპირზე,  
ტიტლიკანა ტალღები ამორბიან...

1964

## გიხაროდენ

საწუთომ რადგან არ მომცა ჭვიტი  
 და აღარ ძალმიძს მეც  
 მეტი დავა,  
 ერთხელ იქნება,  
 ხელს ავუქნევ დღეებს,  
 კით ჩიტებს,  
 დავაფრთხობ მათ და...  
 მეც იქით წავალ.

1994



\* \* \*

მათი ოხვრა და მათი წუხილი,  
მოსაფერებლად მუხლზე  
დაგისვი,  
მაინც კვნესის ხმა მესმის საპყართა,  
ყველას მშობელი  
ელის თავისი,  
მეც ჩემი დედა მელოდება  
გზაგასაყართან.

1992



\* \* \*

გამოჰყვებიან მთვარის ბილიკებს,  
 მერე მთებით და  
     ზღვებით ივლიან,  
 დაერევიან გზაში ერთურთს და იომებენ:  
     ღრუბლების –  
         შავი ესკადრილია,  
     ზვირთების –  
         ლურჯი ლეგიონები.

1971



\* \* \*

ეს მერამდენე წელიწადია,  
სიკვდილზე ფიქრს რომ  
ვეღარ ვიშორებ  
და სივრცეები ვარსკვლავებით დამეს  
მითევენ,  
რომლებსაც ზურგზე  
ნაკვერჩხლები ადევთ  
სიშორის,  
ცივი სინათლით ეწვიოთ თითები.

1990



## 0ქნებ

“ვეფხი რომ წამოუფრინდა,  
დრო იყო შეადამისანი”.  
ვეფხის და მოქმის ბალადა

ტარიელს ტანს რომ ემოსა  
ტყავი ვეფხისა მღრინავი,  
იქნებ...  
ის ვეფხი გაცოცხლდა,  
დასტოვა მხარე არაბთა,  
იქნებ...  
ის იყო მოქმეს რომ  
წამოუფრინდა არაგვთან.

1976

© ლეიტურული კულტურის მუზეუმი

\* \* \*

საუკუნე საუკუნეს

სდევს

და... ქვას და ცეცხლს უშენენ

ავაზაკნი ათას ჯურის,

მაინც,

თბილის ხელს უმვენებს

მტკვარი — მარჯნის სამაჯური.

1984



\* \* \*

ვითარც რამზესის  
საომარი შავი ეტლიდან,  
მესმა ტყორცნის ხმა  
დიდი ლოდების,  
ციხესთან შხეფის,  
აჩრდილიც გაპრთა მოულოდნელად  
აიეტის თუ...  
დიდი გუბაზ მეფის?

1993



\* \* \*

გვიან მივხვდი რომ საწუთოო:  
სამსალა და  
ქეძაფია,  
იქ ჩაივლის ყველა, რასაც  
“სიკვდილის გზას  
ეძახიან”.

1972



## კვამლი

პეტრი,

ცეცხლით დამწვარი

ხის სულია

და ეწვის სხეული

(ცეცხლი კი ღვთის შვილობს),

და შავით მოსილი მიიწევს ცისკენ,

ღმერთოან რომ

იჩივლოს.


1961



\* \* \*

ცამეტთაგან,  
ის ერთი ღრუბელი,  
მოციქულად რომ  
მიუგიდა  
მზეს,  
მარადის ხელუხლებელს,  
უკოცნის მუხლებს,  
კითარცა იუდა.

1958



\* \* \*

წუთისოფელმა ბევრი აწვალა...  
 და უკვდაგებამ  
 ყველა იშვილა,  
 ვინც რომ გაექცა უნდო ბედს იქით:  
 რუსთაველი და  
 გურამიშვილი,  
 ვაჟა,  
 აქაქი,  
 ტატო,  
 ბესიკი.

1959



\* \* \*

მზე

რომ მზე არის,

ო, ისიც,

გვემალება, და წყვდიადში

არ ვიყოთ დაუსრულებლივ,

ვარსკვლავებს გვისინათლებენ,

ციდან –

წინაპრის სულები.

1977



## შიფშენის მოგონება ცელებასის პუნდულზე

მშვიდზე მშვიდი ოკეანე  
დუმს მკრთალი და  
ლილიანი,  
შორით მოჩანს კუნძულები:  
ცელებესის და იავის,  
მე ვიგონებ უიტმენს და  
მკოცნის მისი ზღვის  
ნიავი.


1983



\* \* \*

გახედა თავის სამწყებოს ზვიადად  
მზემ და ცის ოქროს სავარძელში  
დაჯდა მახვშივით,  
და მერე გვიან,  
სახე ცეცხლმა როს  
დაუღარა,  
დღე გადაწვა და დაანახშირა,  
გადააქცია დამის უღრანად.

1974



## მიხეილ ზერგიანი

ფერხევეშ გართხმია მწვერვალები  
ამაყ ხერგიანს,  
მაგრამ უცხო ხმა სიგრცეს შებინდავს,  
დამწუხერდებიან –

მომლოდინე მთები ანდების,  
მერქ,

ო,  
მერგ,  
ვარსკვლავების საათებიდან,  
მარადიული სიცოცხლის გზა აილანდება.

1978



\* \* \*

ფრთადაკეცილი გზებით არყოფნის,  
ჩემი სიცოცხლის თეთრი  
ზამთარი,  
კელაღერილი მოდის გედივით,  
მიხმობს მოვარე –  
შუქმიბნედილი  
და ვარსკვლავებით ცა –  
გადამთვრალი.

1991

\* \* \*

ჰორიზონტს იქით,  
 მზის დასავალთან,  
 ცა ისე მოჩანს,  
 კით ნახანძრალი,  
 მიწას თვალებში ზღვა უბრწყინავს,  
 ვითარცა ცრემლი,  
 სინათლეს რეგავს მთვარის ტაძარი,  
 დამეს ლოცულობს  
 მუხლმოყრილი ვარსკვლავთა  
 მრევლი.

1966



\* \* \*

დასავლით მისდევს ღრუბელი –  
ღრუბელს  
და ქარგავს ელვა ცას ოქრომკედით.  
მე,  
კარგად ვხედავ ნათელზე მთვარის,  
როგორ ჰქიდია ნოტებიფით ლობით სარის,  
ჩალისდერებით შემოდობილ  
ბოსტანში დედის.

1962



\* \* \*

თვალებბრიალა და შეჩვეული  
მიმინოსავით  
ცერზე ნაწურთვნი  
დღეები,  
დამის ციდან დაგდეივის,  
უკვდავებაში შესვლა გვინდა,  
მაგრამ საწუთო,  
იღრინება,  
ჭიშკართან დაბმულ  
ქოფაკივით.

1991



## ზვირთი

დგება და მუხლზე ეცემა  
და ცისძენ იწვდის  
ხელებს  
(რადგან ზღვამ ასე ინება),  
მე,  
ის ზვირთი ვარ –  
ხმელეთს,  
ნიადაგ რომ ერკინება.

1995



\* \* \*

შუპებში –

მიმწუხერის ბდავის ნახირი,  
ქოხები ჭრაქის თვალებს ახელენ:  
არა ჩანს ცუცუ,  
და არც რახილი,  
თუმც მოგონების ტყიდან მომესმის  
მათი ტკბილი ხმა,  
გით გუგულის შორი ძახილი...

1967



\* \* \*

მძინარე ნავებს ნაპირს ახლიდა  
და ქარიშხალი მთელი ღამე  
უკუღმართობდა,  
ახლა კი ყუჩობს...  
ზღვას სიჩუმის ადევს არილი,  
და აღარ გალობს გუნდი მნათობთა,  
დგას მთვარე ღამის უდაბნოში  
მიტოვებული საყდარივით.

1976



## ၁၀၆၂၁၇၀၈ ၉၆၁၄၀ ၄၁ ၁၁၅၃၁၇၀

ჩემს მამულს როცა გაუჭირდება,  
წამსვე უამურ ფიქრს  
წამისევენ  
ათას ბრძოლებში დამენათევარი,  
კედელს რომ ჰკიდია,  
და რომ ვერ ისვენებს,  
წინაპრის ხმალი და სატევარი.

1994



\* \* \*

ჩვენ,

სიკვდილივით ყოვლის მსურველი

ჟამი გვაშორებს

ავლავ ერთმანეთთან,

რომელიც მერე,

მარადიულ ყოფნას გვპირდება,

დღემდე უცნობი შენ ხარ პლანეტა,

შენს აღმოჩენას,

კიდევ ასი წელი სჭირდება.

1988



\* \* \*

გადმოსცემს რადიო:

დაეცა სოხუმი!!!

ოთხმოცდაცამეტის თვე არის ენკენის,

ზღვა არწევს სურათებს –

შავ არშიანს,

ქართველი ვაჟაცების საფლავები იძეკნება,

ქართულ ტელევიზიაში კი...

ცეკვა და თამაშია!!!

1993



\* \* \*

მოშურნებს და ცილისმწამებლებს,  
ვისაც არავინ  
აღარ ენდობა,  
სულ თითო-თითოდ და ყველას ერთად,  
სამაგიერო  
მიუზღვო დმერთმა,  
თუმც უფალს ვთხოვდი,  
იმათ შენდობას.

1995



\* \* \*

აქ წყდება დაგა  
ყოფნა-არყოფნის,  
ცოდვის და მადლის,  
ლვთის და მაცილის,  
საფლავის ქვიდან გამოდის მატლი,  
იქნება,  
სულია ის  
გარდაცვლილის.

1971



\* \* \*

ქაქავენ დამის ნაცარს და მამლები,  
ყივილის ნაკვერჩხლებით  
სადღაც  
